

თვის მიმოხილვა

თებერვალი

საქართველოს ეროვნული ბანკი

2021



2018

2019

2020

2021

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ


ყოველწლიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1259

სარჩევი


1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება	4
2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა	8
3. საბანკო სექტორი	10
4. სავალუტო ბაზარი	15
5. ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი	19
6. საგარეო სექტორის მიმოხილვა	21

წლიური ფასების ცვლილება სამომხმარებლო კალათის ჯგუფების მიხედვით



თებერვალში წლიურმა ინფლაციამ იმპორტირებულ საქონელზე 3.6 პროცენტი, ხოლო ადგილობრივად წარმოებულ საქონელზე 3.2 პროცენტი შეადგინა. შერეული საქონელი 4.5 პროცენტით გაძვირდა.


იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია



2020 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ხანმოკლე და ხანგრძლივი მოხმარების საქონელი შესაბამისად, 1.4 და 2.0 პროცენტით გაძვირდა. მომსახურებაზე ფასებმა 0.8 პროცენტით მოიმატა. საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელზე ფასები 1.4 პროცენტით შემცირდა.

წლიური მაჩვენებლების მიხედვით, ხანმოკლე, საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონელი შესაბამისად, 3.2, 8.2, 11.8 პროცენტით გაძვირდა. მომსახურებაზე ფასებმა 1.9 პროცენტით მოიმატა.

წლიური ინფლაციის მაჩვენებლები სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის



წყარო: საქსტატი

ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და წვლილი სფი-ში (პროცენტული პუნქტი).

	2020 წლის დეკემბრის წონები	თებ21/იან20		თებ21/თებ20	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	1.1%	1.1%	3.6%	3.6%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	32.2%	1.1%	0.4%	6.2%	2.0%
სურსათი	28.9%	1.1%	0.3%	6.0%	1.7%
პური და პურპროდუქტები	5.6%	1.5%	0.1%	8.7%	0.5%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	0.9%	0.1%	1.6%	0.1%
თევზი	0.5%	0.0%	0.0%	10.6%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	-2.7%	-0.2%	6.4%	0.4%
ზეთი და ცხიმი	1.9%	4.9%	0.1%	34.3%	0.5%
ხილი, ყურძენი	1.6%	2.6%	0.0%	-4.1%	-0.1%
ბოსტნეული, ბაღყეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.3%	1.9%	0.1%	-4.8%	-0.2%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	5.4%	0.1%	14.1%	0.3%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	1.1%	0.0%	7.8%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	3.3%	1.7%	0.1%	7.8%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	1.4%	0.1%	8.1%	0.5%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	3.8%	-3.4%	-0.1%	2.3%	0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	-0.4%	0.0%	-21.2%	-1.9%
ავთნი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	1.7%	0.1%	12.3%	0.7%
ჯანმრთელობის დაცვა	7.8%	0.5%	0.0%	9.8%	0.8%
ტრანსპორტი	13.0%	2.5%	0.3%	2.3%	0.3%
კავშირგაბმულობა	3.6%	0.2%	0.0%	0.6%	0.0%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.7%	0.6%	0.0%	3.5%	0.1%
განათლება	4.6%	0.6%	0.0%	1.5%	0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	5.4%	3.7%	0.2%	5.3%	0.3%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	1.1%	0.1%	9.4%	0.5%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	58.1%	1.7%	1.0%	2.5%	1.4%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.3%	0.8%	0.1%	8.2%	0.6%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.5%	0.4%	0.0%	8.9%	0.5%
მომსახურება	30.1%	0.1%	0.0%	1.4%	0.4%

წყარო: საქსტატი


2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა

მონეტარული აგრეგატები

2021 წლის თებერვალში წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 58.1 მლნ ლარით (1.2 პროცენტით) გაიზარდა და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის 4.9 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, წინა თვესთან

შედარებით, მონეტარული ბაზა 91.0 მლნ ლარით (1.8 პროცენტით) შემცირდა. პერიოდის ბოლოსთვის, სარეზერვო ფულის წლიური ზრდის ტემპი 15.7 პროცენტს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ინტერვენციებით გაყიდა 56.3 მლნ აშშ დოლარი. შიდასამთავრობო კონვერტაციებით, საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა, თებერვალში 183.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 127.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

თებერვალში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 439.7 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 926.7 მლნ ლარს გაუტოლდა.

საანგარიშო პერიოდში, განთავსდა 20 მლნ ლარის და დაიფარა იმავე ოდენობის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერთიფიკატები.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, კომერციული ბანკები სარგებლობდნენ რეფინანსირების სესხებით. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, ამ ინსტრუმენტით გაცემული სესხების ნაშთი წინა თვესთან შედარებით შემცირდა 389.5 მლნ ლარით და 1,100.0 მლნ ლარი შეადგინა. ერთთვიანი

სესხის მოცულობა უცვლელია და 400 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ერთდღიანმა სესხმა 50.0 მლნ ლარით გაიზარდა. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთის ოდენობა შემცირდა 32.9 მლნ ლარით. საანგარიშო პერიოდში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 306.7 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 1,997.2 მლნ ლარს გაუტოლდა.

ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადების მოძრაობის ზეგავლენით, თვის განმავლობაში სარეზერვო ფულის მოცულობა 58.1 მლნ ლარით გაიზარდა. მათ შორის, ნაღდი ფული მიმოქცევაში - 54.7 მლნ ლარით, ხოლო საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების ეროვნული ვალუტით განთავსებულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები - 125.4 მლნ ლარით გაიზარდა. ამასთან, კომერციული ბანკების ერთდღიან დეპოზიტებზე არსებული ნაშთების ოდენობა 122.0 მლნ ლარით შემცირდა.

სარეზერვო ფულის დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-21	თებ-21
სარეზერვო ფული	4 885 637	4,943,702
ფული მიმოქცევაში	4 417 990	4,472,684
ბანკების დეპოზიტები	467 647	471,018
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	333 647	459,018
ერთდღიანი დეპოზიტები	134 000	12,000

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საშუალო სარეზერვო ფულის დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-21	თებ-21
სარეზერვო ფული	5,062,263	4,971,242
ფული მიმოქცევაში	4,473,858	4,456,799
ბანკების დეპოზიტები	588,405	514,443
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	490,150	431,727
ერთდღიანი დეპოზიტები	98,255	82,716

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფართო ფული

2021 წლის თებერვალში, ფართო ფულის, M3-ის აგრეგატი 1,017 მლნ ლარით შემცირდა და თვის ბოლოსათვის 31.1 მლრდ ლარი შეადგინა. წლიური ზრდის ტემპი კი 31.3 პროცენტი იყო. საანგარიშო პერიოდში, უცხოური ვალუტით დეპოზიტებზე 751.0 მლნ ლარით ზრდა დაფიქსირდა და თებერვლის ბოლოსთვის, 17.6 მლრდ ლარს გაუტოლდა. ამავე

პერიოდში, 242.2 მლნ ლარით გაიზარდა ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების ოდენობა და მისმა მოცულობამ - 9.8 მლრდ ლარი შეადგინა. ფართო ფული M2-ის მაჩვენებელი, საანგარიშო პერიოდში, 2.0 პროცენტით (266.0 მლნ ლარით) გაიზარდა.

ფულადი აგრეგატების დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-21	თებ-21
ფართო ფული /M3/	30,081,265	31,098,246
ფულადი მასა /M2/	13,191,646	13,457,627
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	3,647,322	3,671,090
ლარები მიმოქცევაში	4,417,990	4,472,684
დეპოზიტები ეროვნული ვალუტით	9,544,324	9,786,537
დეპოზიტები უცხოური ვალუტით	16,889,618	17,640,619

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


3. საბანკო სექტორი

2021 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 1,147.1 მლნ ლარით (3.3 პროცენტით) გაიზარდა და 36.0 მლრდ ლარს გაუტოლდა. 2020 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში, მთლიანი დეპოზიტების მოცულობა 35.6 პროცენტით არის გაზრდილი. სადეპოზიტო

ვალდებულებების ზრდაზე ძირითადი გავლენა ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მატებამ და კურსის გაუფასურების შედეგად, უცხოური ვალუტის დეპოზიტების ლარით გამოსახული მაჩვენებლის ზრდამ განაპირობა.

სადეპოზიტო ვალდებულებები

მილიარდი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, ლარით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობა 366.1 მლნ ლარით (2.7 პროცენტით) გაიზარდა და 13.8 მლრდ ლარი შეადგინა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები ზრდის მიმართულებით მოქმედებდა (გაიზარდა 88.1 მლნ ლარით). ხოლო იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტები შესაბამისად 147.2 და 130.9 მლნ ლარით გაიზარდა.


კომერციულ ბანკებში, უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე 2.9 პროცენტია (190.1 მლნ აშშ დოლარი) ზრდა დაფიქსირდა და პერიოდის ბოლოს, 6.70 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მატება ძირითადად, იურიდიული პირების ვადიანი დეპოზიტების მოცულობის ზრდით არის განპირობებული.

სავალუტო და სალარე დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი, 2021 წლის თებერვალში 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 61.8 პროცენტს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, შესაბამისად, 55.6 და 76.6 პროცენტს შეადგენდა.


მიმდინარე წლის თებერვალში, საშუალო საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე შემცირდა 0.1 პროცენტული პუნქტით და 6.5 პროცენტი

შეადგინა. ეროვნული ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე, ბანკების მიერ გადახდილი სარგებლის წლიური საშუალო შეწონილი განაკვეთი წინა პერიოდთან შედარებით უცვლელია და 8.2 პროცენტის ნიშნულზეა. იურიდიული პირების ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე, საპროცენტო განაკვეთმა, წინა თვესთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით მოიკლო და 8.1 პროცენტი შეადგინა. ფიზიკური პირების დეპოზიტებზე წლიური განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 9.3 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტების წლიური განაკვეთი 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 1.8 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტით იურიდიული პირების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები უცვლელია და 2.6 პროცენტს უტოლდება. უცხოური ვალუტით ფიზიკური პირების დეპოზიტებზე განაკვეთი შემცირდა 0.1 პროცენტული პუნქტით და 1.8 პროცენტის ნიშნულზეა. 2020 წლის თებერვალში, არსებულ განაკვეთებთან შედარებით, ეროვნული ვალუტით დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 2.6 პროცენტული პუნქტით 8.2 პროცენტამდე შემცირდა. კლება დაფიქსირდა უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების განაკვეთებზეც, 0.8 პროცენტული პუნქტით და 1.9 პროცენტს გაუტოლდა.

დეპოზიტები ეროვნული ვალუტით




დეპოზიტები უცხოური ვალუტით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების ზრდის ტემპი წინა თვესთან




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება 282.2 მლნ ლარით გაიზარდა და მთლიანი მოცულობა 37.9 მლრდ ლარს გაუტოლდა. საკრედიტო პორტფელზე ზრდის მიმართულებით გავლენა მოახდინა, ეროვნული ვალუტით გამოსახული დაკრედიტების ზრდამ, ასევე, კურსის გაუფასურების შედეგად, უცხოური ვალუტის სესხების ლარით გამოსახული მაჩვენებლის ზრდამ. კომერციული ბანკების მიერ

გაცემული სესხების პორტფელის წლიურმა ზრდის ტემპმა კი 21.4 პროცენტი შეადგინა. გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე კი, სესხების წლიური ზრდა 10.7 პროცენტი იყო. საკრედიტო პორტფელის 89.4 პროცენტი გრძელვადიან სესხებზე მოდიოდა, რომლის 89.8 პროცენტი უცხოური ვალუტით იყო გაცემული. მოკლევადიან სესხებში კი უცხოური ვალუტით სესხების წილი 40.4 პროცენტს შეადგენდა.

სესხების ზრდის ტემპი წინა თვესთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 194.1 მლნ ლარით (1.2 პროცენტით) გაიზარდა და 16.81 მლრდ ლარს გაუტოლდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად ფიზიკური პირების გრძელვადიანი დაკრედიტების ზრდით იყო განპირობებული.

უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა თებერვალში 23.3 მლნ აშშ დოლარით

(0.4 პროცენტით) შემცირდა წინა თვესთან შედარებით და პერიოდის ბოლოს 6.51 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამ კატეგორიის კრედიტების 61.5 პროცენტს იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები შეადგენს, ხოლო 89.8 პროცენტი გრძელვადიან დაკრედიტებას უჭირავს.

მოკლევადიანი სესხები ეროვნული ვალუტით


მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მოკლევადიანი სესხები უცხოური ვალუტით


მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრძელვადიანი სესხები ეროვნული ვალუტით


მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრძელვადიანი სესხები უცხოური ვალუტით

მილიონი ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში ვადაგადაცილებული სესხები 23.6 მლნ ლარით შემცირდა და 578.5 მლნ ლარს გაუტოლდა. მათი წილი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში 1.5 პროცენტი იყო. ვადაგადაცილებული სესხების 38.9 პროცენტი ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

საანგარიშო პერიოდში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.2 პროცენტული პუნქტით, 55.4 პროცენტამდე შემცირდა.

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბანკო სისტემაში საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, მიმდინარე წლის თებერვალში, 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 12.4 პროცენტს შეადგენს. უცხოური ვალუტით დენომინირებულ სესხებზე, საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 6.5 პროცენტი შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.4 პროცენტული პუნქტით, 15.3 პროცენტამდე შემცირდა. ეროვნული ვალუტით სესხების შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთებმა ფიზიკური პირებისთვის 0.7 პროცენტული პუნქტით, 18.0 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო იურიდიული

პირების სესხებზე 0.4 პროცენტული პუნქტით, წლიურ 11.7 პროცენტამდე. უცხოური ვალუტის შემთხვევაში, იურიდიული პირების სესხებზე საპროცენტო განაკვეთები 0.3 პროცენტული პუნქტით 6.7 პროცენტამდე, ხოლო ფიზიკური პირების მიერ უცხოური ვალუტით აღებული სასესხო განაკვეთები კი, 0.5 პროცენტული პუნქტით 6.2 პროცენტამდე შემცირდა. წინა წლის თებერვალთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტის სესხებზე 0.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო ეროვნული ვალუტის სესხებზე - 1.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

სესხების და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები




4. სავალუტო ბაზარი

1. გაცვლითი კურსი

თებერვალში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ საშუალოდ 3.2973-დან 3.3092-მდე (0.4 პროცენტით) გაუფასურდა,

ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 4.0186-დან 4.0024-მდე (0.4 პროცენტით) გამყარდა.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ, თვის საშუალო




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 3.3265, ხოლო მინიმალურმა 3.2888 შეადგინა. შესაბამისად, თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან მაქსიმალური გადახრა 0.5 პროცენტი, ხოლო მინიმალური -0.6 პროცენტი დაფიქსირდა.

საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე დოლარი ევროს მიმართ საშუალოდ - 0.8 პროცენტით, სომხური დრამის მიმართ - 0.3 პროცენტით, თურქული ლირისა და აზერბაიჯანული მანათის მიმართ 0.1 პროცენტით გამყარდა, ხოლო რუსული რუბლის მიმართ კი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა¹.

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველდღიური მერყეობის დიაპაზონი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


¹ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წინა თვესთან შედარებით ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 0.8 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.0 პროცენტით გაუფასურდა. წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 12.2 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 10.8 პროცენტით გაუფასურდა.

სავაჭრო პარტნიორთაგან თებერვალში წლიური ინფლაცია საქართველოში დაფიქსირებულ 3.6 პროცენტზე მაღალი იყო თურქეთში 15.6 პროცენტი,

ბელორუსში - 8.6 პროცენტი, უკრაინაში - 7.5 პროცენტი, რუსეთში - 5.7 პროცენტი, სომხეთში - 5.3 პროცენტი, აზერბაიჯანში - 4.2 პროცენტი, ხოლო დაბალი იყო აშშ-ში 1.7 პროცენტი და ევროზონაში - 0.9 პროცენტი.

ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ 2012=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2. სავალუტო ბაზრის ტენდენციები


ბანკთაშორის სავალუტო ბაზარი

2021 წლის თებერვალში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 85.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე - 52.9 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის თებერვლის მონაცემზე კი 12.2 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. იმავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით - 18.5 პროცენტით, წლიურად კი 31.1 პროცენტით შემცირდა.

საანგარიშო პერიოდში სავალუტო ბაზრის კონცენტრაცია გაიზარდა: ბანკთაშორის სავალუტო გარიგებების მთლიანი თანხის 69 პროცენტი (იანვარი - 64 პროცენტი) ქვეყანაში მოქმედი 15 ბანკიდან და 4² მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან 5 ყველაზე აქტიურ ორგანიზაციაზე მოდის. დადებული გარიგებების რაოდენობის მიხედვით, ყველაზე აქტიურ 5 ორგანიზაციას ბაზრის 65 პროცენტი უჭირავს. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი გაიზარდა და 12 პროცენტია (იანვარი - 10 პროცენტი), რაც დაბალი მაჩვენებელია და სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.

² რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში

ბანკთაშორის სავალუტო ბაზარი და ეროვნული ბანკის წვლილი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ვაჭრობა ბანკებსა და დანარჩენ კონომიკურ აგენტებს შორის

თებერვალში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თვითურად გაიზარდა, ხოლო წლიურად შემცირდა. უცხოური ვალუტით ლარის ვაჭრობა თითქმის მთლიანად სპოტ გარიგებებით ხდებოდა (98.9 პროცენტი) და 1,228.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც იანვრის მონაცემთან შედარებით 88.6 მლნ აშშ დოლარით მეტი, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კი 131.7 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. სპოტ³ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე (68.4 პროცენტი) მოდიოდა, დანარჩენი კი შინამეურნეობებზე (27.1 პროცენტი) და არარეზიდენტ ბანკებზე (1.2 პროცენტი). საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერვენციების წილი 3.3 პროცენტი იყო.

ამ პერიოდში ჩატარებულ ერთ სავალუტო აუქციონზე ეროვნულმა ბანკმა 40.0 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

სებ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე (მლნ აშშ დოლარი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

³ სპოტი გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.


საერთო ჯამში, სპოტ გარიგებებით ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნამ 619.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც იანვრის მაჩვენებელთან შედარებით 37.2 მლნ აშშ დოლარით მეტი, ხოლო წლიურად 78.1 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. სეგმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ სპოტ გარიგებებით იურიდიული პირების მიერ უცხოური ვალუტის ყიდვებმა 486.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, შინამეურნეოების შესყიდვები 132.4 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო არარეზიდენტი ბანკების - 0.8 მლნ აშშ დოლარი.

რაც შეეხება ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოური ვალუტის სპოტ გარიგებებით მიწოდებას, თებერვალში 608.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც იანვრის მაჩვენებელთან შედარებით 51.4 მლნ აშშ დოლარით მეტი, ხოლო წლიურად 53.5 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. იურიდიულმა პირებმა გაყიდეს 353.7 მლნ აშშ დოლარი, შინამეურნეოებმა - 201.1 მლნ აშშ დოლარი, არარეზიდენტმა ბანკებმა კი - 13.8 მლნ აშშ დოლარი. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაყიდული აშშ დოლარი 40.0 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

სპოტ გარიგებით შეძენილი უცხოური ვალუტა



სპოტ გარიგებით გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში სავალუტო ფორვარდ⁴ გარიგებებით ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობამ 13.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც იანვრის მონაცემთან შედარებით 4.7 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.5 მლნ აშშ დოლარით მეტია. ფორვარდ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე (85.5 პროცენტი) მოდიოდა, ხოლო დანარჩენი არარეზიდენტ ბანკებზე (14.5 პროცენტი). ფორვარდ

გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა -5.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


⁴ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

5. ბანკთაშორის ფულადი ბაზარი

სადეპოზიტო სერტიფიკატები თებერვალში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონზე ბანკების მხრიდან მოთხოვნამ 66.5 მლნ ლარი შეადგინა და სრულად განთავსდა 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები, საანგარიშსწორებო ფასით 19.6 მლნ ლარი. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი არ შეცვლილა და

8.00 პროცენტს შეადგენს. თებერვალში არსებული დაფარვების გათვალისწინებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნომინალური მოცულობაც უცვლელია და 60 მლნ ლარია.

3-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონები თებერვალში ჩატარდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ოთხი აუქციონი, რომელზეც 87.6 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. საანგარიშსწორებო ფასმა 86.3 მლნ ლარი შეადგინა. ბანკების მხრიდან მოთხოვნამ ფასიან ქაღალდებზე ემისიას 3-ჯერ გადააჭარბა.

თებერვალში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი და ხუთწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 15, 15, 20 და 37.6 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების

ნაშთი 17.6 მლნ ლარით გაიზარდა და 5,518 მლნ ლარია.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 8.00 პროცენტს შეადგენს, რაც წინა თვესთან შედარებით 0.09 პროცენტული პუნქტით დაბალია. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 0.18 პროცენტული პუნქტით 7.4 პროცენტამდე შემცირდა. ორწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაკვეთმა 0.14 პროცენტული პუნქტით იკლო და 8.03 პროცენტს შეადგენს. ხოლო, ხუთწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაკვეთი 0.09 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 8.02 პროცენტია.

შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი თებერვალში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის კლება შეინიშნებოდა, რაც ძირითადად უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის შემცირებით იყო განპირობებული. ბაზრის მთლიანმა ბრუნვამ 2.1 მლრდ ლარი შეადგინა, რაც იანვრის მაჩვენებელზე 13.8 მლნ ლარით, ხოლო წინა წლის თებერვალთან შედარებით 1.4 მლრდ ლარით ნაკლებია.


წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის რესურსის ბრუნვა 0.16 მლრდ ლარით (37.2 პროცენტი) გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის მოცულობა 0.18 მლრდ ლარით (10.5 პროცენტი) შემცირდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის თებერვალში ლარის რესურსის ბრუნვამ 0.73 მლრდ ლარით (54.6 პროცენტი), ხოლო უცხოური ვალუტის შემთხვევაში კი 0.66 მლრდ ლარით (30.2 პროცენტი) იკლო.

თებერვალში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მთლიან ბრუნვაში ლარის რესურსის ხვედრითმა წილმა 28.5 პროცენტი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 7.9 პროცენტული პუნქტით

მეტი, ხოლო წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 9.5 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ლარის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.18 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო წლიურად 1.23 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.70 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტის შემთხვევაში განაკვეთი თვის განმავლობაში 1.18 პროცენტული პუნქტით, ხოლო წლიურად 0.91 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 0.29 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ფულადი ბაზრის რესურსის 23.5 პროცენტი ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 76.0 პროცენტი კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


6. საგარეო სექტორის მიმოხილვა

2021 წლის თებერვალში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 21.2 პროცენტით შემცირდა და 347.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საანგარიშო თვეში საქონლის

რეგისტრირებულმა ექსპორტმა წლიურად 2.9 პროცენტით მოიმატა და 270.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 12.2 პროცენტით 618.2 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა


მილიონი აშშ დოლარი




იმპორტი - 2021 წლის თებერვალში საქონლის იმპორტი წლიურად 12.2 პროცენტით შემცირდა. რეგიონის ქვეყნებიდან იმპორტის კლებაში მაღალი წვლილით გამოირჩეოდა აზერბაიჯანი, რაც, ძირითადად, საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების წლიურად შემცირების ფონზე, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესყიდვების ღირებულების კლებას უკავშირდება. თურქეთიდან იმპორტის შემცირება სამკურნალო საშუალებების, მსუბუქი ავტომობილებისა და მერქან-ბურბუშელის ფილების, უკრაინიდან - ნახშირბადიანი ფოლადის წნელებისა და სამკურნალო საშუალებების, ხოლო ყაზახეთიდან - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემოტანის კლებამ გამოიწვია. დანარჩენი ქვეყნებიდან, კერძოდ, ჩინეთიდან (სპეციალური დანიშნულების ავტომობილების, სატვირთო მანქანებისა და ლითონის მეტალოკონსტრუქციების

გამო), ბრაზილიიდან (სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების გამო), იაპონიიდან (მსუბუქი ავტომობილების გამო) და ავსტრალიიდან (სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების შემოტანის კლების გავლენით) იმპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამის საპირისპიროდ, ჩილეიდან იმპორტის მატება სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, აშშ-დან მსუბუქი ავტომობილების, ხოლო რუსეთიდან - ნავთობის აირების, ხორბალი/მესლინის, მზესუმზირის ზეთისა და ნახშირბადიანი ნაგლინის შემოტანის ზრდით არის გამოწვეული.

საქონლის იმპორტის წლიური ცვლილება



იმპორტი ქვეყნების მიხედვით (თებერვალი 2021)



2021 წლის თებერვალში ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები იყო: თურქეთი, რუსეთი, აშშ, აზერბაიჯანი, ჩინეთი, სომხეთი და გერმანია. ჯამურად, 7 ძირითადი სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 64 პროცენტი მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

2021 წლის თებერვალში, იმპორტირებული საქონლის მნიშვნელოვან ნაწილს, 10.4 პროცენტს, მსუბუქი ავტომობილები წარმოადგენდა, რომელიც წლიურად 5.4 პროცენტით გაიზარდა და მთლიანი იმპორტის ცვლილებაში 0.5 პროცენტული პუნქტი წვლილი შეიტანა. იმპორტზე კლების მიმართულებით სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ნავთობისა

და ნავთობპროდუქტების, ნავთობის აირების, დაფასებული სამკურნალო საშუალებების, სატელეფონო აპარატებისა და ელექტროენერგიის იმპორტმა (ჯამურად -3.8 კპ) მნიშვნელოვნად იმოქმედა. გარდა ამისა, რეზინის პნევმატური სალტების იმპორტი კვლავ შემცირდა. ამის საპირისპიროდ, სატვირთო ავტომობილებისა და ხორბალი/მესლინის იმპორტი არსებითად გაიზარდა. თებერვალში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით

	2021 თებერვალი		2021 იანვარი		2020 თებერვალი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში
მსუბუქი ავტომობილები	64 304.9	10.4%	33 879.1	6.3%	60 999.2	8.7%
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	47 223.6	7.6%	12 146.7	2.2%	51 787.3	7.4%
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	46 779.2	7.6%	36 689.7	6.8%	54 102.0	7.7%
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	43 523.7	7.0%	46 503.7	8.6%	47 539.6	6.8%
დაფასებული სამკურნალო საშუალებები	21 849.9	3.5%	17 647.9	3.3%	27 729.5	3.9%
სატელეფონო აპარატები	12 710.8	2.1%	11 995.0	2.2%	14 760.1	2.1%
სატვირთო ავტომობილები	11 440.9	1.9%	17 571.3	3.2%	9 426.6	1.3%
ხორბალი და მესლინი	9 229.8	1.5%	6 693.2	1.2%	4 111.0	0.6%
ელექტროენერგია	7 180.9	1.2%	10 384.9	1.9%	9 953.1	1.4%
რეზინის პნევმატური სალტები და საბურავები, ახალი	6 626.5	1.1%	7 978.0	1.5%	6 994.1	1.0%
სხვა	347 345.9	56.2%	339 603.6	62.8%	416 695.3	59.2%
სულ	618 216.1		541 093.0		704 097.7	


წყარო: საქსტატი

ექსპორტი - 2021 წლის თებერვალში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 2.9 პროცენტით გაიზარდა. რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსეთში ექსპორტის მატებამ, რაც ფეროშენადნობების, ყურმის ნატურალური ღვინოებისა და სხვადასხვა ხილის ექსპორტს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია თურქეთში - ფეროშენადნობების, ხორცი/თევზის გრანულების, შავი ლითონების ჯართისა და ფოლადის ნახევარფაბრიკატების, უკრაინაში - გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე სპილენძის ჯართისა და მინერალური წყლების, ხოლო უზბეკეთში - სამკურნალო საშუალებების ექსპორტის ზრდა. გარდა ამისა, ესპანეთსა და ჩინეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტი, ხოლო საუდის არაბეთში ცოცხალი ცხვრებისა და


თხების ექსპორტი გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, აზერბაიჯანში ძირითადად მსუბუქი ავტომობილების, აშშ-ში ფეროშენადნობების, ბულგარეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო ჩადიში საფრენი აპარატების სხვადასხვა ნაწილების გაყიდვების კლების გამო სასაქონლო ექსპორტი შემცირდა.

2021 წლის თებერვალში ძირითადი საექსპორტო ქვეყნები იყო: აზერბაიჯანი, ბულგარეთი, ჩინეთი, რუსეთი, თურქეთი, უკრაინა და აშშ. ჯამურად, 7 ძირითადი სავაჭრო პარტნიორის წილმა მთლიანი ექსპორტის 72 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტის წლიური ცვლილება



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (თებერვალი 2021)



წყარო: საქსტატი

2021 წლის თებერვალში ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების 2.9 პროცენტთან მატებაში ყველაზე დიდი წვლილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (1.9 პროცენტული პუნქტი) ექსპორტმა შეიტანა. ექსპორტის მოცულობაზე დადებითად აისახა ფეროშენადნობებზე, ასევე ყურძნის ნატურალური ღვინოებზე, კაკალსა და თხილზე, სპირტიან სასმელებზე, მინერალურ წყლებსა და ქიმიურ სასუქებზე საგარეო მოთხოვნის მატება (ჯამურად 7.4 პროცენტული პუნქტი წვლილი მთლიანი ექსპორტში). ამის საპირისპიროდ,

ნახევრადდამუშავებული და დაუმუშავებელი ოქროს ექსპორტი შემცირდა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

ექსპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით


	2021 თებერვალი		2021 იანვარი		2020 თებერვალი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	44 799.6	16.6%	49 708.3	22.1%	39 807.8	15.2%
ფეროშენადნობები	28 844.8	10.7%	23 283.2	10.4%	26 950.9	10.3%
მსუბუქი ავტომობილები	25 088.4	9.3%	24 888.3	11.1%	50 736.5	19.3%
ყურძნის ნატურალური ღვინოები	17 387.6	6.4%	8 696.1	3.9%	13 674.6	5.2%
სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	12 557.3	4.6%	5 971.3	2.7%	8 523.3	3.2%
სპირტიანი სასმელები	11 390.4	4.2%	6 958.1	3.1%	7 363.7	2.8%
მინერალური და მტკნარი წყლები	9 613.9	3.6%	8 802.9	3.9%	8 305.0	3.2%
თხილი და სხვა კაკალი	9 061.0	3.4%	7 246.4	3.2%	4 505.8	1.7%
სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	6 250.0	2.3%	2 953.8	1.3%	5 838.6	2.2%
ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული, ან ფხვნილის სახით	6 153.3	2.3%	2 637.2	1.2%	7 303.0	2.8%
სხვა	99 130.3	36.7%	83 298.3	37.1%	89 630.5	34.1%
სულ	270 276.7		224 443.9		262 639.7	

წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - 2021 წლის თებერვალში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობა წინა წელთან შედარებით 17.5 პროცენტით გაიზარდა და 161.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 3.4 პროცენტით 21.0 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.


საანგარიშო თვეში რეგიონის ქვეყნებიდან მაღალი ტემპით გაიზარდა აზერბაიჯანიდან (190.9 პროცენტით) და უკრაინიდან (78.3 პროცენტით) გადმორიცხული ფულადი სახსრები, რომელთა წვლილები მთლიანი გზავნილების ცვლილებაში 2.9 და 2.4 პროცენტული პუნქტებით აისახა. ფულადი გადმორიცხვები გაზრდილია ასევე თურქეთიდან, ხოლო რუსეთიდან კვლავ კლება დაფიქსირდა. საანგარიშო თვეში მოიმატა ევროკავშირის ქვეყნებიდან გადმორიცხულმა თანხებმა (24.0 პროცენტით), რაც იტალიიდან (31.8 პროცენტით), საბერძნეთიდან (19.9 პროცენტით) და გერმანიიდან (51.2 პროცენტით) გაზრდილმა გზავნილებმა განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების ზრდაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინა აშშ-დან (32.9 პროცენტით) და კანადიდან (30.5 პროცენტით) მიღებულმა თანხებმა. რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით განაწილებას, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (44.0 პროცენტი) და რუსეთი (15.6 პროცენტი) წარმოადგენდნენ. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიისა და საბერძნეთის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

წილი მთლიან ფულად გზავნილებში (თებერვალი 2021)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქვეყნების წვლილი სწრაფი ფულადი გზავნილების ზრდაში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ტურიზმი - 2021 წლის თებერვალში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 89.5 პროცენტით შემცირდა. ტურისტების რაოდენობამ მთლიანი ვიზიტორების

88.5 პროცენტი შეადგინა და წლიურად 86.1 პროცენტით დაიკლო. საანგარიშო თვეში ასევე შემცირდა ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობა.

ვიზიტორები ტიპების მიხედვით




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

2021 წლის თებერვალში, გლობალურად, მათ შორის საქართველოში, კვლავ რჩება შეზღუდვები საერთაშორისო მოგზაურობასთან დაკავშირებით. ამის ფონზე, საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა ძალიან მცირეა. რეგიონის ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტორების კლება აზერბაიჯანიდან (-95.8 პროცენტით), სომხეთიდან (-89.9 პროცენტით) და რუსეთიდან (-94.4 პროცენტით) გამოირჩეოდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტორების რაოდენობა კვლავ ძალიან მცირეა, რაც მთლიან შემცირებაში 5.8 პროცენტული პუნქტით აისახა.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები – 2021 წლის თებერვალში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 25.5 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. საერთაშორისო რეზერვებზე კლების მიმართულებით ძირითადად იმოქმედა სავალუტო ინტერვენციებმა და კომერციულ ბანკებთან განხორციელებულმა ოპერაციებმა, ხოლო ზრდის მიმართულებით - მთავრობასთან განხორციელებულმა ოპერაციებმა.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები

მილიარდი აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, სანაპიროს ქ. N2
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ-ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

